228
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 280
დეკემბრის 31, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 280
დეკემბრის 31, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
აქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საგურამოში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 ხვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

კახურ ღვინოების საწყობი
„ველის-ციხე“

საკუთარის მამულებიდგან

მიხეილ გიორგის ძე ტარასოვი ძმებით.

(პუშკინის ქუჩა, სახლი სკრედიტო საზოგადოებისა).

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ წლევანდელ უხვის მოსავლის [illegible] მოგვივიდა საუკეთესო კახური ღვინოები. კარგი სამუდამ-დღე[illegible] სახმარ[illegible] ღვინო, ვედრო თორმეტ აბაზიდგან სამ და ათ შაურამდე, ხოლო [illegible] მანეთიდგან თორ[illegible] მანეთამდე, ანუ ბოთლი საყოველ-დღე სახმარისა—15, 20 და 25 კაპ. ძველი თავი ღვინისა 75 კაპ.—1 მანეთამდე.

ჩვენვე ვკისრულობთ მიტანას ყველგან.

მუდმივ მოშხა[illegible] დაეთმობა უწყებული პროცენტი.

იმედია, საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას ჩვენს ფირმას, რომლის ღვინოებიც რამ[illegible] იყო დაჯილდოვებული სხვა-და-სხვა გამოფენაზედ.

ჩვენი ღვინოები იყიდება ყოველ დიდ მაღაზიაში და სასტუმროებში.

(7—8) მ. გ. ტარასოვი ძმებით.

სამკერვალო
ქალთა ტანსამოსისა.

ვღებულობთ ქალის ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა
და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთი) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

კახური ღვინის საწყობი სარდაფი

„კურდღელაური“

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ იქ საუკეთესო კახური ღვინო მსურველთ დაეთმობათ ბოთლი 20 კაპ. 25 კაპ. და სხვა ფასად. ჯუნგი—70 კაპ., ვედრო 2 მან. და სხვა ფასად.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ჩუღურეთში, რიყის ქუჩაზედ, გაბაევის სახლში № ტფილისში.

(3—485—2) ი. ა. ხახუტოვი.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

№ 27. ტელეფონი № 176.

სადღესასწაულო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს 2 იანვარს, 1902 წ.

ქართული თეატრის დაფუძნების სახსოვრად

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება ორი პიესა

I

სამზადისი

სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროიდან პეტრე უმიკაშვილისა.

II

ხანუმა

კომედია 4 მოქ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბ-ნნი: ნ. გაბუნია ცაგარლისა, ნ. გამრეკელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რითხელი.

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამრეკელიძე, ტ. გედევანოვი, გ. ვ. გუნია, ი. იმედაშვილი, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ყდენტი, რომანიშვილი, ხუციშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მელანიას ოინები“. (ნ. გაბუნიას საბენეფისოდ) „გრიგალი“ „ჩატეხილი ხიდი“, „ნორა“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი გაბრ. გუნია.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში). სახლი № 38. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ჰ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეული. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშ. რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—

გ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

მრ. ვ. ხოზოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ლამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ როგორც ყური მოვკარით, ქართულ დრამატიულ საზოგადოებისთვის ერთს ქართველს ქველ-მოქმედს შეუწირავს ასი თუმანი.

✦ ბაქოს ქართველები უკვე შესდგომიან ქართულ საღამოს გამართვას. ტფილისიდგან უკვე დაიბარეს ქართულ სიმღერის ნოტები; საღამო გაიმართება იანვრის დამლევს და შემოსავალი, ჩვეულებისამებრ, გადიდებულ იქნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ და ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ ჩვეულებრივი კონცერტი, ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ, როგორც გავიგონეთ, დანიშნულია მომავალ თებერვალს. მოსალოდნელია, რომ ამ საღამოში, როგორც ამბობენ, მონაწილეობის მისაღებად რუსეთიდგან კლენოვსკი და კორეშჩენკო ჩამოვლენ; ეს მემუსიკენი ასრულებენ სხვა-და-სხვა თხზულებას, რომელიც დაუწერიათ ქართულ სახალხო სიმღერების ტემებზედ. ერთს მათგანს სურვილი უკვე გამოუცხადებია მონაწილეობის მიღებისა; მხოლოდ გადაჭრილ პასუხს ელიან.

✦ ქარლიდგან გვატყობინებენ, რომ ღვინის ფასმა ამ უკანასკნელ ხანს ძალიან აიწია. მყიდველიც ბევრია მოსული სოფლებში ქალაქებიდგან, უფრო-კი გორიდგან, იშვიათია სოფელი, რომ სირაჯი არ მისულიყვეს ღვინის სასყიდლადაო.

✦ მივიღეთ სომხური წიგნი „ჰოროთ-მოროთ“, თხზულება იოვანე მალხასიანისა. შინაარსი: ა) ოჯახის დანგრევა, ბ) მდუღლეს ჯვარი, გ) ცეცხლი, დ) ტოროს-ალას დაკლული ხბო და ე) წვერები.

„ჰოროთ-მოროთ“ ქართულად ჰნიშნავს რამე-რუმეს. წიგნი სუფთად გამოცემულია და ჰღირს 30 კაპ.

✦ კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველმა დანიშნა კრება ტფილისისა და საზოგადოდ კავკასიაში არსებულ სახელოსნო და სატეხნიკო სასწავლებლების დირექტორებისა. კრებამ უნდა განიხილოს, რა ღონისძიებანი უნდა იქნას მიღებული, რომ სწავლის საქმე გაუმჯობესდეს ზემოხსენებულ სასწავლებლებში.

✦ მომავალ მარტს ტფილისის საბოტანიკო ბაღთან არსებულ საპრაქტიკო სკოლაში დანიშნულია გამოსაცდელი ეგზამენები იმათთვის, ვინც მოისურვებს ამ სკოლაში შესვლას. ზემო აღნიშნულ დროსთვის ამ სკოლაში იქნება ხუთი ვაკანსია; ამ ჟამად სკოლაში სწავლობს 8 პრაქტიკანტი მომუშავე.

✦ როგორც, გარდმოგვცეს, კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი შეეკითხებია კავკასიაში არსებულ სახელოსნო და სატეხნიკო სასწავლებლების დირექტორებს, შეატყობინეთ, დღევანდელ პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებამ რა შედეგი მოიტანა და რა დაბრკოლებანი აღმოჩნდაო.

✦ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტის მეოთხე კრებაზედ, სხვათა შორის, განხილულ იქმნა საქმე რკინის გზის ტარიფების შესახებ. კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს, ღვინის გადატანის ტარიფი შემცირდეს. კრებამ ამავ საღამოს განიხილა საკითხი საქონლის მოშენებისა და მერძეობის შესახებ და დაადგინა, ამ დარგთა გასაუმჯობესებლად საჭიროა: 1) დაარსება განსაკუთრებულის ინსპექციისა საქონლის მოვლა-მოშენების ყურის საგდებლად; 2) დაარსება საქონლის მოშენებისა და მერძეობის სკოლისა; 4) სავალდებულო აცრა, რათა ჭირი არ შეხვდეს საქონელს; 4) მოწყობა კრედიტის საქმისა მატყლის, ყველის, ერბოსა და ტყავეულის გირაოთი სესხის გასაცემად; 5) შესწავლა საზღვარ-გარეთის ბაზრებისა, სადაც საღდება ჩვენებური ნაწარმოები მერძეეობისა; 6) გამოცემა კანონისა მერძეეობის ნაწარმოებთა ფალსიფიკაციის წინაამდეგ საბრძოლველად; 7) შევსება 1884 წ. 29 ივნისის კანონისა ისე, რომ სასოფლო საზოგადოებთ მიეზომოთ სახაზინო საძოვრები, თუ მოისურვებენ ყველის ქარხნების გახსნას.

✦ ამ ჟამად ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო განყოფილების განკარგულებით ჰკრეფენ ცნობებს ტფილისის გუბერნიის სახაზინო სასოფლო ქსენონების მოქმედების შესახებ ამ ათის წლის გაამავლობაში. როგორც ცნობებიდგან სჩანს, ყოველ წლივ მატულობს რიცხვი იმათი, რომლებიც სარგებლობენ ქსენონებით. წელიწადში 120,000 კაცამდე იღებს შეწევნას, რომელთა შორის უფრო მეტნი ციებით არიან ავად.

✦ ს. ყვარელში, როგორც შევიტყეთ, საქონლის ჭირი გაჩენილა.

✦ ხუთშაბათს, 2 იანვარს, დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც რამდენიმე საყურადღებო საქმე უნდა განიხილოს და აგრედვე ძოისმინოს სხვა-და-სხვა საგნის შესახებ წევრთა მოხსენებანი. კრება დაიწყება საღამოს რვა საათზე.

✦ შაბათს, 28 დეკემბერს, ვერაზე არსებულ ქალაქის სკოლაში, საკვირაო სკოლის მოსწავლეთათვის, გაიმართა საღამო. ბავშვებს უჩვენეს ბუნდოვანი სურათები ჩვენის წარსულის ცხოვრებიდგან. მომღერალთა გუნდმა, რომელიც შესდგებოდა მოსწავლეთაგან, სთქვა

რამდენიმე სიმღერა. დასასრულ ბავშვებს დაურიგეს საყმაწვილო წიგნები. ბავშვები ას საღამოს ერთობ გახარებულები იყვნენ.

◆ 20 დეკემბერს ა. ს. ბაბოვის თავმჯდომარეობით მოჰხდა ქალაქის საფინანსო კომისიის წევრთა კრება კრებას დაესწრნენ, წევრთა გარდა, ქალაქის ლომბარდის გამგე ასლამაზოვი და ლომბარდისავე უფროსი ბუხგალტერი სარქისოვი. კომისიამ განიხილა ლომბარდის მოხელეთა სია და დაუნიშნა მათ ჯამაგირი: ლომბარდის გამგეს დაენიშნა 1800 მ., კანდიდატს (იგივე კასირი ამორჩეული საბჭოსაგან) 1100 მ., უფროს არტელშიკს 1000 მ., მის თანაშემწეს—600 მ., დარაჯს 240 მ., უფროს ბუხგალტერს 1000 მ. მასვე მოუმატეს 300 მ. უფროს თანაშემწეს ბუხგალტრისას 800 მ., უმცროს თანაშემწეს 500 მ., დამფასებელს 720 მ., სამს მწერალს 1020 მ. და ყარაულს 240 მ.

◆ ქალაქის გამგეობამ განიხილა რა ირ. ფურცელაძის საქმის შესახებ საგანგებოდ ამორჩეულ კომისიის მოხსენება, აღმოაჩინა, რომ ფურცელაძეს დაუჭერია ქალაქის ადგილი; ამიტომ გამგეობამ ქალაქის იურისკონსულტს გადასცა ყველა საბუთი და დავალა უჩივლოს ფურცელაძეს სასამართლოში.

ისტორიული ცნობა.

5

მოეწყინათ მისი მთავრობა.

განდგა ლიპარიტ ორბელიანი, გამოიყვანა ბაგრატ მეფის ძმა დიმიტრი სპითა ბერძნისათა და მიერთვნენ აზნაურნიცა ვიეთნიმე და კახნი, მოვიდნენ, არე-მარე მოწვნეს, აოხრეს ქვეყანანი და მოადგნენ ატენს. მეციხოვნენი მხნედ დაუხვდნენ. მეფე ბაგრატ ახალ-ქალაქს ჩამოდგა. ლიპარიტი დაბრუნდა. მას მოჰყვნენ ბერძნის ჯარი და დიმიტრი.

—

დიმიტრი, ბაგრატის ძმა, ანაკოპიის მფლობელად სთვლიდა თავის თავს. მისი ერთგული მომხრე ლიპარიტი იყო. და ბერძნები აძ ლიპარიტის შემწენი იყვნენ.

—

1045—1047 წლებში ასტყდა ომი საბერძნეთსა და ოსმალთ შორის. ეს ოსმალნი შეერივნენ ბასიანსა და ვესპურაკონს თავრიზის მხრიდამ. იმპერატორმა მისწერა ლიპარიტს, თუ, როგორც გვარწმუნებ, ჩვენი ერთგული ხარ, ყოვლის შენის ძალით მიეხმარე ჩვენს ლაშქარსაო. ლიპარიტი დიდის ჯარით შეუერთდა ბერძნებს. მტერი ახლო ჰყვანდათ. ბერძენთ სპასალარმა სთხოვა ლიპარიტს, შევებნეთო. მან მიუგო: დღეს ოთხშაბათია და ეს დღე-კი ჩვენში უბედურ დღედ ითვლება. მანამ ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, თურქნი დაესხნენ მათ ლაშქარს. ბრძოლამ შუაღამემდის გასტანა. ლიპარიტს ცხენი მოუკლეს. შეიპყრეს და ტყვედ წაიყვანეს ქალაქ რეს.

იბრაიმმა აცნობა თავის ძმას სულთანს ლიპარტი შევიპყარითო. სულთანს იმა ამგვარ კაცის დატყვევება, გარნა შეშურდა, რომ იგი შეეპყრო არა თვითონ, სულთანს, არამედ მისს ძმას იბრაიმს. ამ დროს იმპერატორისაგან მოუკიდა დიდი სასყიდელი და ვედრება—ლიპარიტი დაგვითმეო. სულთანმა, რომ დიდსულოვნობა გამოეჩინა, ლიპარიტი ძღვნად გაუგზავნა იმპერატორს და ლიპარიტსვე მისცა იმპერატორისაგან მის სასყიდლად გამოგზავნილი საფასე და უთხრა: „წადი და კვლავ ალარ ებრძოლო ოსმალებს“.

—

აი, ეს ლიპარიტი იყო ბაგრატ მეფის [illegible]რი. მას მომხრეობდნენ აგრეთვე აბაზ[illegible] სხვა აზნაურნი.

—

1059 წ[illegible]ს გიორგი მთაწმინდელი [illegible] ფოთს, ქუთაისს და ქართლს შემოვი[illegible] რატმა მიაგება მღვდელთ-მოძღვარნი დებულნი, ხოლო თვით მეფე „კა[illegible] [illegible]გებ მოწლედ მოიკითხა, იკურთ[illegible] [illegible] ხელთ-პყრობით შეიყვანა კარ[illegible] [illegible] დაისვა და უთხრა: „კურთხეულ [illegible]თი! აჰა, დღეს ცხოვრებაჲ არს [illegible] სამეფოსა ჩემისა, რამეთუ ვიხილე [illegible] ოქროპირი“. დიდებულნიც ხარობდნენ [illegible] ქმნა სიხარული ყოველსა სამეფოსა“. [illegible] თვის ხარობდნენ? ამისთვის:

—

[illegible] ას ჟამსა იქმნა დიდი გამარჯვება. მეფემ წინააღმდგომნი მეფობისა თვისისა აბაზაძეს [illegible] შეიპყრა. ყოველთა უწყიო, ვითარმედ შეპყრობა მეფისა ეგულებოდათ. ესე კაცნი [illegible]ერნი და აზოვანნი, სიმდიდრესა ზედა [illegible] თვისისასა მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზვავებულნი, ხუთნი [illegible], ვითარცა უძლურნი რაიმე და [illegible] ჩჩვილნი, ეგრეთ შეიპყრა.

[illegible] მოსვლის ერთის თვის წინად აზრე [illegible] ბაგრატ მეფესაო, სწერს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერელი გიორგევე.

ამავე წელს ბოლო მოეღო ლიპარიტის ძლიერებას.

—

1045 წელს სასირეთში შეიყარა დიდი ლაშქარი, ორ-წყებად. ერთს მხარეს იდგა ბაგრატ მეფე და მეორეს—ლიპარიტი, სომხის მეფე დავითი, კახნი და სხ. ასტყდა სასტიკი? შინელი ბრძოლა. სასირეთის ჭალა ძმათა სისხლით მოირწყა. ლიპარიტმა ბევრნი დიდებულნი დაატყვევა, გაიმარჯვა...

—

იგივე ჭალა ა. მოჩანს კარვები, ლაშქარი. ქართველთა სისხლი ჯერ არ შემშრალა და ისევ აწითლებს არე-მარეს. აგერ მოდის ვიღაც დიდებული კაცი. იგი თვით ბაგრატ მეფეა. მას ჰსურს მოელაპარაკოს თავის „ყმას“ ლიპარიტს მშვიდობიანობის შესახებ, სთხოვოს თუ, კმა არს, ამდენი ღელვა, შფოთი, ძმათა ხოცვა, დაწყნარდეს, მოასვენოს ქვეყანა. გარნა... კარვის უკანა მხრიდგან გადის ამაყი ლიპარიტ, მიდის, მეფის დახვედრას, მასთან მოლაპარაკებას საჭიროდ არ სცნობს...

—

ტყვეობიდგან განთავისუფლებულმა ლიპარიტ, ნახა-რა განდიდება ბაგრატ მეფისა, წავიდა კონსტანტინეპოლს, დიდი ძლიერებით დაბრუნდა საქართველოს, შეება მოწინააღმდეგეთ, დაამარცხა. ბაგრატმა ამჯობინა სულიყო კოსტანტინეპოლს და ლიპარი[illegible] მომხრე იმპერატორისთვის აეხსნა აღმო[illegible]ლეთის ნამდვილი მდგომარეობა. [illegible]ვის შ[illegible] გიორგის სამეფო ჩააბარა და თვითონ წავ[illegible]

—

ლიპარიტი შეიქმნა სამეფოს ნამდვილ [illegible]ტონად და მოურავად. რუის მოიყვანა გიო[illegible] ბაგრატის ძე; მეფედ აკურთხა. ყრმა გიორ[illegible] მხოლოდ მეფობის სახელი ჰქონდა, თო[illegible] ყოველივე მძლავრს ლიპარიტს ეკითხებოდ[illegible]

—

კოსტანტინეპოლს მისულმა მეფემ დი[illegible] უსაყვედურა იმპერატორს, რომ იგი უსამართლოდ ეპყრობა აღმოსავლეთს, ემხრობა მეამბოხეს. გარნა მან, ხელის მომართვის მაგიერ, ბაგრატი სამს წლამდის არ გამოისტუმრა.

—

ბაგრატი დაბრუნდა. ლიპარიტი ონავრობდა. მაგრამ საუკუნო ამ ქვეყანას არა არის-რა. საქართველოს თავადებს მოეწყინათ ლიპარიტის მთავრობა, მისი უფროსობა. შეითქვნენ სულა კალმახელი და მესხნი, შეიპყრეს ლიპარიტ (და ძე მისი იოანე (1059 წ.) და მიართვეს მეფეს. გულჩვილმა მეფემ მიანიჭათ სიცოცხლე და მით სამეფოს მარად მაშფოთარ გვარეულობის ამოწყვეტა ას წლამდე შეაჩერა.

ბერი.

ახალ კანონის გამოცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ქართველ კაცს კანონისა ეშინიან. ვიდრე ძალიან არ გაუჭირდება, ვიდრე დანას ყელთან არ მიიტანენ, არ გაინძრევა, არ შეიშმუშნება. როცა [illegible] უჭირდება [illegible] სასამართლოს კარს მიადგ[illegible] ეფანცქალებს და ბედსა სწყევლ[illegible] [illegible]როლოებში სათრევად საქ[illegible]

მიზ[illegible] ასეთის შიშისა. ქარ[illegible] კმა არ იცის, რა ხი[illegible] ავი, არც ბოლო მისი [illegible] მოუდგენია. უნდა ნახოთ, [illegible] ენებური გლეხი სასამართ[illegible]

[illegible] ქალაქისთვის ფარხმალია, მისის დამცველი. ჩვენს „ტეტიას“ და გა[illegible]ებულ მოქალაქეს“ ეს არ ესმის და მიხვდება უბირი კაცი, ვიდრე გონებით [illegible]ნათლდება, ვიდრე წაკითხულის გაგების [illegible] არ შეიძენს.

[illegible] ოპიელ კაცს ა[illegible] ც „сенатскія объявле[illegible] უნდა კანონის გასაცნობად, არც მღვდელი და არც მამასახლისი. იქაურმა მკვიდრმა გაზეთის წყალობით წინადვე იცის, რა კანონის შემოღებას აპირებს მთავრობა და, ვიდრე კანონი კანონად იქცევა, უკვე გათვალისწინებული აქვს მისი ღირსება და ნაკლულევანება. ეს იმის ბრალია, რომ მუშაა, მოქალაქე, მოსამსახურე, თუ გლეხი, ყველას შვიდი-რვა და ხშირად ათი წელიწადიც სკოლაში გაუტარებია. ამ ბედნიერებას ჩვენებური კაცი მოკლებულია და ამის გამო ეშინიან კანონისა, რადგან არ ესმის მისი ძალა და ღირსება.

ჩვენებური კანონი რთულია, ბუნდოვანი და ხშირად ნასწავლისათვისაც მეტად ძნელი გასაგები. აბა, როგორ უნდა გააგებინოთ ჩვენებურ დაბეჩავებულ ტეტიას „Уставы о воинской повинности?“ ერთი უშველებელი, დაუსრულებელი, ათას კაბადონიანი წიგნია და ათ წლობით უნდა უკირკიტებდე, რომ მისი სული და გული შეიტყო? სატარებლად კიდევ მთელი აბგა დასჭირდება...

წრეულ მთავრობამ მოახდინა სავლეხო კანონების ახალი კოდიფიკაცია *). ცვლილება ბევრია. ორი თვეა ვუკირკიტებ და ჯერ სავსებით ვერ გავითვალისწინე მისი ავლა-დიდება. არც-კი ვიცი, როგორ მივახვედრო უბირი კაცი, ახალი რა მოიტანა სავლეხო კანონების ახალმა კოდიფიკაციამ? დღე-მუდამ გლეხკაცობას დავტრიალებ თავსა, მე ვერასა ვხდები და მღვდელი და მამასახლისი რას გახდებიან ამ ძნელსა და რთულს საქმეში?

ბევრჯელ ვცადე ამეხსნა სახაზინო გლეხისთვის—აი ეხლა „отводныя записи“ გაგიკეთდებათ-მეთქი. ვერ მიხვდნენ. „ღრამატების“ ნაირ ქაღალდებს დაგიწერთ და მამულის ჩამორთმევის შიში ნუღარ გექნებათ-მეთქი. ბატონო, ეგ რა კანონია, კანონი ის იქნება, რომ უმიწაწყლო ხალხს მიწა მოგვიზომონო. უცოდინარი მღვდელი და მამასახლისი რას გახდებიან ამ უძირო მორევში! თუ მაინცა და მაინც დავაკისრეთ ახალი კანონის გამოცხადება, ხშირად ისეთნაირად გამოუცხადებენ, რომ ამ გვარ გამოცხადებას გამოუცხადებლობა ემჯობინება. გაიხსენეთ, როგორ წაიკითხა რუსის „მუჟიკმა“ შესანიშნავი მანიფესტი 19 თებერვლისა 1861 წ., ეძებდა „ვოლიას“, ვერ იპოვა და გაჯავრდა—მოხელეებმა დაგვიმალეს სანატრელი „თავისუფლებაო“. მართალია, მას შემდეგ ორმოცმა წელიწადმა გაიარა, მაგრამ ხალხი ისევ ლებურად შეუგნებელი და განუვითარებელია.

მაშ რა ვქნათო, იკითხავს მკითხველი? ისე ბატონებო, რაც ევროპიელებმა. ქვეყანა და მოიფინოს საეროვნო სკოლით, ვასწავლოთ ერსა სათემო და სახელმწიფო კანონი სხვა სწავლასთან ერთად, როგორც ეს [illegible]იცარიასა და შვეციაშია და, თუ ეს მოხდა, მაშინ მღვდლები და მამასახლისები [illegible]რ დაგვჭირდება ახალის კანონის გამოსაცხადებლად.

ა. ფრონელი.

ჩვენებური ამბები

ცხინვალი. სოფელ დიცის მამასახლისი დაიკარგა კვალ-წმინდად. ამბობენ, ას ოცი თუმანი წაიღო სოფლისა და წავიდაო. აქეთ დიდი თოვლი მოვიდა. ყინვებიც დიდი დაიჭირა. ერთი ურია დაახრჩო ნამქერმა დირბის გზაზედ.

—

ვანი (იმერეთი). ერთი თვეა, რაც ვანში ადგილობრივი მღვდლის და მასწავლებლის მეცადინეობით სამრევლო სკოლასთან დაარსდა საკვირაო სკოლა. სოფლელები სიხარულით მიეგებნენ საკვირაო სკოლის გამართვას და, თუმცა პირველად სკოლაში მისვლა და მეცადინეობა ეუცხოვებოდათ, მაგრამ მალე შეეჩვივნენ და გულმოდგინედ დაიწყეს მეცადინეობა. ეს საქმე, უეჭველია, მესაფერს ნაყოფს გამოიღებს, თუ შემწეობას აღმოუჩენენ.

გრ. გიორგაძე.

—

ქუთაისი. სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით, 1903 წელს, ორ იანვრიდგან ათ იანვრამდე, მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში ექნებათ კრებანი მოღვაწეთა სამეურნეო სწავლა-განათლების გავრცელებისათვის (Съѣздъ дѣятелей по Сельско-хоз. образованію россіи) საქართველოდგან ამ კრებაზედ მონაწილეობას მიიღებს ნ. თ. მკურნალი, რომელმაც უკვე გაჰგზავნა თავისი მოსაზრება შესახებ იმისა, თუ რა მეთოდით უნდა ასწავლონ სამეურნეო საგნები სამეურნეო სასწავლებლებში, საზოგადოდ რუსეთში და კერძოთ კავკასიაში, შემოიღონ თუ არა სამეურნეო სასწავლებლებში სწავლა აბრეშუმის ჭიის მოვლა მოშენებისა. კრებაზედ ბ-ნი მკურნალი სანიმუშო გაკვეთილს მისცემს შეგირდებს თავის მეთოდისამებრ.

ლი.

—

სიღნაღი. ძალიან კარგი ამინდებია. მოსავალსაც პირი კარგი უჩანს. ხალხი ქიზიყისა ჯერ ძილშია. ერის გონებას გადაჰკვრია ფარდა უზრდელობისა და უცოდინარობისა. დიდი, დიდი ჰკუიანი კაცი უნდა დიდ-ძალი განათლებული ხალხი, რომ შესძლონ ხალხის გამოფხიზლება. სდუღს ერის ძარღვებში ძლიერად სიცოცხლე, მაგრამ, ვაი, რომ ხალხი უპატრონოდ არის. მთელს ქიზიყში თითქმის ერთი კაცი არ არის უმაღლეს სწავლა-დამთავრებული. მოძღვართაგან ერთი რომ ჰხნავს და ჰფარცხავს დაღმა, მეორე აღმა ჰხნავს და ჰფარცხავს. ხალხის განათლება მათ იმდენად სწადიანთ, რამდენათაც წყალში ჩავარდნილს დახრჩობა. „იყავ სრული ვითარცა ღმერთიო“, უთხრა ქრისტემ ხალხს და მოძღვართ, მაგრამ ესენი სრულნი არიან სხვაფრივ. აქ გამეფებულა ლოთობა, უცოდინარობა, დაუდევრობა, კაცის კვლა, ბრიყვობა, უზრუნველობა და სხვ.

აქაური.

—

ყვირილა. 21 დეკემბერს შორაპნის მაზრის სამმართველოში ყრილობა ქონდათ ყვირილელებს. განსახილველი საგნები იყო 1) ყვირილის სასწორის (ყაპანის) გამართვა 2) საყასბოს გაკეთება და 3) საქონელზედ ბაჟის დადება. ეს საგნები დაწვრილებით განიხილეს, მოიწონეს, დადგენილებას ხელი მოაწერეს და ადგილობრივ მაზრის უფროსს გადასცეს ბ-ნ გუბერნატორისთვის წარსადგენად.

ხესტაფონელი.

—

ზედობანი (გურია). ამ სოფელს, სამწუხაროდ, არ აქვს გზები და სკოლა. გზების გაუმჯობესობა წელს იკისრა თვით სოფელმა, განურჩევლად წოდებისა; სამწუხაროდ, მაინც გზის კეთების საქმე რიგიანად ვერ მოეწყო ჩვენში. ჩვენი საზოგადოების ყველა სოფელს წინმსვლელობა დაეტყო. მხოლოდ ზედობანი ჩამორჩენილია და სდუმს. ეს სოფელი შორავს სასოფლო სკოლას 3 ვერსით, სოფელსა და სკოლის შორის ღელეები და ცუდი გზები; უმრავლესობა სოფლისა ვერ სარგებლობს სკოლით. ეს მოვლენა მეტად აფერხებს სწავლის საქმეს ამ მივიწყებულ სოფელში, ჯერ ვერ გაუბედნიათ სკოლის დაარსება. დროა, ზედობნელებმა შეიგნონ, რომ მათთვის მიუცილებელი საჭიროებაა გზები და სკოლა.

ი. ზედობნელი.

—

ბათუმი. ყველამ იცის, თუ რა საჭიროებას შეადგენს სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, არამც თუ ისეთ ქალაქში, როგორიც არის ბათუმი, სადაც მრავლისაგან უმრავლესი წერა-კითხვის მცოდნე მუშა ხალხი იყრის თავს, არამედ უბრალო დაბა-სოფლებშიაც-კი. უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების საჭიროება ადრიდგანვე იგრძნო აქაურმა ქართველობამ და კიდეც შეუდგა საქმეს. მოაგროვეს ასოც თუმნამდე (1200 მ.) ფული, შეადგინეს საზოგადოება, ამოირჩიეს გამგე კომიტეტი, რომელსაც მიანდვეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება და მისი საქმეების მოწეს-რიგებაზედ ზრუნვა. კომიტეტმა მიჰმართა თხოვნით წიგნების ავტორებს და გამომცემლებს. მოგროვდა წიგნები და ჟურნალები—ქართული, რუსული და სომხური. ზოგიც თვითონ შეიძინეს. ახლა პირდაპირ უნდა შესდგომოდნენ საქმეს, გაეხსნათ ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მაგრამ ეს თხოულობდა ხარჯს, რასაც კომიტეტი ერიდებოდა იმ მოსაზრებით, რომ იმ ფულებით, რომელიც მის ხელთ იყო, ჰსურდა საკუთარი შენობა აეგო სამკითხველოსათვის, ელოდნენ ადგილს ქალაქი უსასყიდლოდ დაგვითმობსო; მაგრამ სამკითხველოს გახსნა აუცილებელი შეიქნა, რადგან ნებართვა, რომელიც აღებულ მარიამ მხეიძის სახელზედ, ძალას ჰკარგავდა, ვადა გასდიოდა; ამიტომ კომიტეტმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას, რომ ამ უკანასკნელს დროებით უსასყიდლოდ დაეთმო საქალაქო სავაჭრო შენობის ერთი თვალი ნურიის ბაზარში. გამგეობამ დაუთმო და კომიტეტმაც რის ვაივაგლახით გახსნა უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ეს იყო სამის წლის წინად. სამკითხველოს, დღიდგან მისი გახსნისა, ყოველ დღე 150—200 მკითხველზედ ნაკლები არა ჰყოლია. და ესენი იყვნენ სულ მდაბიო მუშა ხალხი. სამწუხაროდ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს არავითარი წესრიგი არ ჰქონდა. წიგნები ნახევარზედ მეტი გაიბნა. სამკითხველოში ვინ იყო გამგე ან ბიბლიოთეკარი, ძნელი გამოსაცნობი იყო. ბიბლიოთეკარი ხშირად თავის მოვალეობას თავის ნაცნობ მეგობრებს გადასცემდა ხოლმე, რის გამოც სამკითხველოს თვალყურის დევნება აკლდებოდა და გაზეთები იკარგებოდა. სამწუხაროა აგრეთვე, რომ კომიტეტს ერთხელაც არ მოუწვევია საზოგადო კრება, არ წარუდგენია მისთვის არავითარი ანგარიში, არ უზრუნვია სამკითხველ-ბიბლიოთეკის ნივთიერად გაძლიერებისთვის, როგორც საწევრო ფულის და შეწირულების მოგროვებით, აგრეთვე წარმოდგენების გამართვით და სხვა. ასეთის მათის მოქმედებას,—უფრო-კი უმოქმედობას,—მოჰყვა სამკითხველოს ნივთიერად დაუძლურება. კომიტეტმა ის ფული, რომლითაც სამკითხველოს საკუთარ შენობის აგებას აპირებდა, ამ ხნის განმავლობაში წვრილმან ხარჯებს მოანდომა და ის ადგილიც, რომელიც ქალაქმა დაუთმო უსასყიდლოთ შენობის ასაგებად, ხელიდან წაუვიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი თავმჯდომარე გადასახლდა ქუთაისში, რომლის სახელზედაც იყო ბიბ.-სამკითხველოს ნებართვა აღებული. მის მაგივრად სხვა აღარავინ აურჩევიათ პასუხის მგებელ პირად.

წარსულს ზაფხულს მოვიდა მთავრობის მიერ დანიშნული რევიზორი, რომელმაც ყველა ეს უწესოება აღმოაჩინა ბიბლიოთეკა-სამკითხველოში: ვერ ჰპოვა, მაგალითად, მთავრობის წინაშე პასუხის მგებელი პირი. ამას მოჰყვა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დახურვა. ამ გვარად მოისპო სასარგებლო დაწესებულება.

ეს სამი თვეა, რაც აქაურ ინტელიგენტთა ჯგუფმა, ბ. ბეითალის ტურკინის მეთაურობით, დააარსა ესრედ წოდებული „ბათუმის საზოგადო ბიბლიოთეკა“, რომელსაც ქალაქი დიდს დახმარებას აძლევს, როგორც სადგომის უსასყიდლოდ დათმობით, აგრეთვე ყოველ წლივ თვალსაჩინო სუბსიდიით, მაგრამ სამწუხარო ის გახლავთ, რომ ბიბლიოთეკა საინტელიგენტოა უფრო, ვიდრე „საზოგადო“, რადგან ყოველ შესვლაზედ დადებულია [illegible] კაპეიკი გადასახადი. თუ რა ადვილია ყოველ შესვლაზედ თითო გაზეთის გადაკითხვისათვის, ორ-ორი კაპეიკის გადახდა მუშა ხალხისათვის, —ეს თვით მკითხველთაც კარგად ესმით. სამწუხაროა ისიც, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველო ისეთ ადგილს და ისეთ ქუჩაზეა მოთავსებული, რომ მუშა ხალხი იქ გულდაგულ თუ მივა, თორემ ისე იქით ვერ მობრუნდება. ამიტომ ამ ახლად დაარსებულ „საზოგადო“ ბიბლიოთეკა-სამკითხველოში ხალხს ჩვენ ვერ ვხედავთ. სამაგიეროდ იქ ნახავთ თითო-ოროლა ინტელიგენტს, ისიც იქაური ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე პირთ, მაგრამ მათაც იშვიათად.

უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოში ჩვენ ვხედავდით ყოველ დღე 150-დან 200-მდე მკითხველს, ახალ „საზოგადო“ სამკითხველოს-კი ამდენი მკითხველი არც ნახევარ თვეს ესტუმრება. როგორც ჰხედავს მკითხველი, პირველი მიზანს აღწევდა, მაგრამ დამაარსებელთა უთაურობით დაიხურა, მეორე ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს.

ყველა ამების შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიხარულს გამოიწვევდა აქაურ ხალხში კნეინა ანდრონიკაშვილის, აქაური ქალაქის თავის მეუღლის განზრახვა, რომელსაც სურს, აქ დაარსოს საკვირაო სკოლა და უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

—ონ—ლი.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. შვიდის წლის გა[illegible]დმებულ ბჭობა-თათბირის შემდეგ, როგორც იყო, მოხდა ავსტრიისა და უნგრეთის საბაჟო ხელშეკრულობის განახლება. თუ რა პირობებით დაიდო ახალი ხელშეკრულობა, ჯერ ჯერობით არაა გამომჟღავნებული, მაგრამ როგორც გაზეთები იუწყება, დიდად დახმარებია ტახტის მემკვიდრის ფრანც-ფერდინანდის საქმეში ჩარევა.

მხოლოდ მემკვიდრის პირადმა მეცადინეობამ შესძლო, რომ ავსტრიის მინისტრ-პრეზიდენტმა ფონ-კერბერმა უარჰყო თავისი [illegible]. კერბერი ამ უკანასკნელ დროს, როგორც ამბობენ, სცდილობს სასახლის წევრთა გული მოიგოს და ამისათვის მზადაა, ბევრი რამ დასთმოს ხოლმე, ოღონდ-კი მათ ასიამოვნოსო. ჰგონებენ, კერბერს დიდი იმედი ჰქონდა, უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს სამსახურიდგან გადადგომისა და მიტომ [illegible] ნიანზდაო; მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ სასახლეში მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ავსტრიისა და უნგრეთის საბაჟო შეთანხმებას, და უხერხულად მიაჩნიათ ფონ-სელლის სამსახურიდგან გადადგომა ამ ჟამად, საუმჯობესოდ სცნო ზოგი რამ დაეთმო და ამგვარად თანხმობა ჩამოეგდო ავსტრიისა და უნგრეთს შორისაო.

მაროკკო. გაზ. „Berl. Tag“-ს შემდეგს ატყობინებენ მადრიდიდან მაროკკოს მოძრაობის შესახებ:

„ტახტის მაძიებელი მთელის თავისის ჯარით დაბანაკებულია ფეციდამ 20 ვერსტის მანძილზე. მის გარშემო აუარებელი ხალხი იყრის თავს, რადგანაც ყველამ უწყის მისი ზღაპრული სიმდიდრე.

სულთანი სცდილობს ხალხის დამშვიდებას, მაგრამ მას არ ერწმუნებიან. ევროპიელთა [illegible]გობრობამ და მისსიონერ კოპერის მკვ[illegible] იკვდილით დასჯამ ურიცხვი მტერი [illegible] ტანჟერში მყოფმა ევროპიელ სახელ[illegible] წარმომადგენლებმა აფრინეს შიკრ[illegible] და ურჩიეს იქ მყოფ ევროპიელ[illegible] დასტოვეთ ეგ ქალაქი და თავს [illegible] ამ ამბავმა მეტად შეაშინა მცხოვრე[illegible]

— ტანჟერიდან ატყობინებენ „Times“-ს: ფეცის მავრთა წარმომადგენლებს სულთანისათვის გამოუცხადნიათ,—სანამ პირში სული მიდგ[illegible]

---

*) ხელ-ახლად გადამინჯულ-შესწორებული კანონების კრებული. ავტ.

ოქს არ დავუთმობ მტერსაო. მავრები და-
ენებულნი არიან, რომ, შემდეგ იმისა,
ოხდა ლორდ ლანსდოუნსა და მენებ-
სორის,—რომელიც გასულ წელს მივიდა
დონს მარკოს წარმომადგენლად, ინ-
სს არ შეუძლიან გასაჭირში არ დაეხ-
იარაღით აბდულ-აზისსაო. ყოვლად
ებელია მათი დარწმუნება, რომ ეს ასე
ხდება, რადგან აჯანყების მიზეზად
ჩვენ მხოლოდ ინგლისს, რომელიც სც-
ობდა ევროპის აზრების გავრცელებას და
კოს საქრისტიანოსთან დაახლოვებას.
ზ. „Matin"-ის კორესპონდენტს ყური
კრავს გარეშე საქმეთა სამინისტროს მო-
არაკებისათვის, და ირწმუნება, რომ
ისსა და საფრანგეთს, ისე როგორც ეს-
ს, სურთ მაროკკოში ადრინდელი წეს-
ილობა დაიცვანო.
ნგლისის მთავრობას—უთქვამთ კორეს-
ენტისათვის.—ჩვეულებად არა აქვს ტა-
მემკვიდრეობის საქმეში ჩაერიოსო. რო-
ც ავღანისტანის საქმეებში ჩავერიეთ
ი გაგვიცრუვდა, და ამ ჟამად არავითარი
ილი ადარა გვაქვს—კიდევ გავიმეოროთ
ი შეცდომაო. როდესაც კორესპონ-
მა ჰკითხა, როგორ მოიქცევა მთავრობა,
ასოწარკვეთილმა სულთანმა დახმარება
ვაო—პასუხად სთქვეს—ჩვენ ეგ საქმე
ლიადაც არ შეგვეხება და ისე უნდა
იწყოს თავი სულთანმა, როგორც მას ნე-
ა.

ეატრი და ხელოვნება

ერლეის მოკვლა" (და არა მკვლელობა)

მწუხარეა, როდესაც ჩვენი მსახიობთა ძალ-
ისეთს უმიზეზოს, და უფრო მეტი, ხელოვ-
მხრივ ყოვლად მახინჯ საწარმოებზედ იხა-
ს, როგორიც „კოვერლეის მოკვლა" ა, შავ-
რას გიხამ! რეცენზენტის მოვალეობაა—ად-
ს ყოველი მოვლენა ჩვენის თეატრის ცხოვ-
ა.

ადად სანუგეშო ის არის, რომ ამ მოვალე-
ყურთდება აგრეთვე უფლებაც რეცენზენტი-
მოკლედ და გაკვრით შეეხოს ამგვარს მოვ-
ს, როგორიც არის ხსენებულ პიესის დადგმა
სცენაზედ, და მით უფრო, განმეორება,
ანაც არავისათვის საინტერესო არ არის ეს
ას და ყველასაგან შეიძულებული, გარდა ჩვე-
ას-კი განახლების ემბაზში ამოვლებული მე-
არაბა.

იტომ ვსარგებლობ ამ უფლებით და შემდეგს
ხსენებთ: ეს არაჩვეულებრივი ნაცოდვილარი
გრომელის ფანტაზიისა,—ჩვენმა მსახიობებმა
ლ ითამაშეს. უპირველესი ადგილი უნდა და-
თ ქ-ნთ ეფ. მესხს და ა. კარგარეთელს.
ლი თამაშობდა არტურ გორდონის დედას,
როვი, სადა, მაგრამ გრძნობა-მეტყველი იყო
ობ-ქალის თამაში. ქ-ნმა მესხისამ არც ერ-
დ არ მიმართა ხმა-შეკიდებულ საშუალებათ
ტიურ პაფოსის გამოსახატად;—სხეულის
ობა ჰქონდა ზომიერი, სახის ერთფეროვანი,
კუმან-მოსილი,—და ამით შთაბეჭდილე-
ანადა იქონია; უმთავრესი ყურადღება
ს მიიქცია ხმისათვის, რომელიც ძლიერ
ტიურ მომენტებში ჭეშმარიტის მწუხარე
თ იყო ნარევი.

ოდეს არ მინახავს ქ-ნა კარგარეთლისა ასე
კად მოთამაშე, როგორც ედდის როლში იყო.
და მეორე გამამჭვიდებისა) უკველივე, ის რაც
თა ვთქვი, ქ-ნ კარგარეთელსაც შეეხება,
ამ ადარ გავიმეორებ. დაგვიდგენია გზა
ობისა წარმატებისაკენ და იმედი, რომ მე-
რობა-მეცადინეობა მოუტანს სარგებლობას,
რც ქართულ სცენას, აგრეთვე თვით მსახი-
ც, რასა თქმა უნდა.

ტე მესხის შესახებ აქ არას ვიტყვი, რად-
ც, მარჯვე შემთხვევა თუ მომეცა, აზრად მაქვს
ო ვრცლად გამოვარკვიო მისი არტისტიული
ბა.

ხი გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნნი გუნია, შა-
შვილი, სვიმონიძე, აწყურელი, ივანიძე და
ი აგრეთვე ძალიან კარგები იყვნენ; მაშასადამე
ოდ რომ ასეთის ლაღა გამოცდილის სი-
თ ვიხსენიებ.

გრამ ყველაზედ უკეთესი იყო.... რკინის
—ლიანდაგით, მატარებლით, ვაგონებით და
ეგრაფის ბოძებით. მოსწავლე ახალგაზდობა
დაეწია ამ უმთავრეს მომქმედ გმირის ნახვით.
აესაში— ყველაზედ დიდი მნიშვნელობა
და რკინის გზასა აქვს: პირველი მოქმედება
გემზედ, ხოლო მეორე—რკინის გზის ლი-
ზედ.)

ჟისორს საყვედური ეთქმის იმის გამო, რომ
ობებთან ერთად, საზოგადოების წინაშე თავის
აგრავად, გამოუშვა პაწია ბავშვი, რომელიც პე-
ს როლს თამაშობდა. რაც შეიძლება, უნდა
იდნეთ ბავშვების სცენაზედ გამოყვანას და იმ
ხვევაში, როცა ეს აუცილებელი ხდება,—მაშინ
ფდა მოვეპყრათ საქმე, რომ შეუფერებელის
ლენით არ ავუმღვრიოთ მათი არსებობის პაწია სა-
რო. ნუ დავივიწყებთ ერთის ბრძენი-კაცის
აზრს, რომ ბავშვის სულიერი არსება დაუწერავი ქაღალდია, რომელზედაც ცხოვრების ხელი რასაც უნდა იმას დაწერსო.

წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

ნარკვევი

„ცნობის ფურცლის" № 2026-ში მოთავსებულია საყურადღებო ფელეტონი „ქუთათური მოღვაწეობა". უსახელო ავტორი სამართლიანის წყრომით აღნიშნავს ქუთათურ განათლებულ იურისტთა უზადრუკობას, უხეირობას და გულგრილობას საქვეყნო და საქალაქო საქმისადმი. ქუთაისში ოცამდისინ ყოფილა ამ ჟამად ნასწავლი დიპლომიანი ადვოკატი. ეს ამოდენა ჯარი უმაღლეს სწავლა მიღებულ ხალხისა ან სულ არ ეტანება საქვეყნო საქმეს, ან თუ მიეტანება, ისიც უხეიროდ, უგულოდ და თავისის განათლებისა და სწავლის კვალს ვერ აჩნევს ვერც ერთ საზოგადო საქმესაო. მაგ. „ქ. ქ. გ. საზოგადოების" წევრად მხოლოდ ექვსი მათგანი ითვლება, და ამათში საწევრო ფული მარტო ორს შეუტანია. ქუთაისის წიგნების გამომცემ „ამხანაგობის" დაარსებაში არც ერთს ადვოკატს არ მიუღია მონაწილეობა, ხოლო შემდეგ ჩაწერილა წევრად ოთხი; ტფილისაში-კი არც ერთი მათგანი არ ითვლება წევრად. ასეთსავე უვარგისობას და გულცივობას თურმე იჩენენ ქუთაისის ვექილნი ქუთათურ სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „კოლხიდის" საქმეებში და სხვა-და-სხვა.

გაურბიან აგრეთვე ქალაქის თვითმართველობას. ხმოსნად ბევრი ვექილია არჩეული, მაგრამ საქმეს გულცივად და უგემურად ეკიდებიან. მაგალითებრ 1899 წ. საბჭოს სხდომა 36 ჯერ ყოფილა, ხმოსანი ადვოკატი-კი მხოლოდ 9 ჯერ დასწრებია და, მაშასადამე, ამბობს ავტორი, 27 ჯერ საგანი უმისოდა სწყდებოდაო.

ზოგიერთი მათგანიო, ამბობს უსახელო ავტორი ზემორე აღნიშნულ ფელეტონისა, თამამად ამტკიცებს, ვითომც საქმეო იყოს ყოველმა ჩვენგანმა აღუზარდოს მამულს კარგი შვილი და ამ საგანს მოანდომოს თავისი დრო და ენერგიაო. ავტორის აზრით ეს გულუბრყვილო თავის მართლებაა დამნაშავისა!

იმათ არ ესმით, რას ნიშნავს კარგი მამულიშვილის აღზრდა; კარგი მამულიშვილის აღზრდა მხოლოდ იმ მშობლებს შეუძლიანთ, რომელნიც თვითონაც არიან კარგი მამულიშვილები, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ხალხისადმი სიყვარულით, რომელთაც გამოხატული აქვთ ეროვნული იდეალები და ამ იდეალებისადმი მიესწრაფვიან მთელი თავისი ძალღონით! მაგრამ თუ „კარგი შვილის აღზრდა" იმ ბატონებს სხვანაირათ ესმით და მათის ფიქრით იმაში მდგომარეობს, რომ ხალხს ტყავს გააძრობს და ხალხის ნაშრომით მას დიპლომს მიაღებინებს, მაშინ უნდა ვსთქვა, რომ მარტო „კარგი მამობა" არა კმარა, კაცი კარგი მოქალაქეც უნდა იყოს! მაგრამ ვთქვათ, რომ ჩვენი მოვალეობა საზოგადოების მიმართ კარგი შვილის აღზრდით თავდება, საკითხავი ახლა ის არის, ვზრდით მართლა კარგ შვილებს? არა და არა! ჩვენ ვერ ვზრდით კარგ შვილებს და წინააღმდეგის ლაპარაკი მხოლოდ სიტყვის ბაზზედ აგდება არის, საკუთარ არარაობაზედ დაფიქრების შიშით გამოწვეული... გავიძახით, მამულს კარგი შვილები გავუზარდოთო! რა მაგალითებით გვინდა გავუზარდოთ შვილი მამულს? რას ხედავს ჩვენს ოჯახში, ჩვენს წრეში მოზარდი თაობა? განათლებული ქართველები გვქვიან და სახლში ქართული გაზეთიც-კი არ მოგვეძევება! ხმოსნები ვართ და ქალაქის საქმეებისთვის არა ვზრუნავთ, ქართველნი ვართ და ქართულად ვერ ან არ ვლაპარაკობთ! სიმართლის „დამცველნი" ვართ და სიმართლეს-კი გაურბივართ! ჩვენი ხალხისათვის ნებაყოფლობით ერთ ფლურსაც არ გავიღებთ, ერთს საათსაც არ შევსწირავთ მას და თავისუფალ დროს ან უსაქმობაში ან ბანქოს თამაშში ვატარებთ! ძლიერის წინაშე ხმა-გაკმენდილი დაეფორთხავთ მტვერში და გამბედაობა არ შეგვწევს ჩაგრულს ხმამაღლა გამოვესარჩლოთ! მაშ რაღა მაგალითებით უნდა გავუზარდოთ მამულს ერთგული, გამბედავი და ენერგიული შვილი? არა, ვიმეორებ, რომ ამისთანა საბუთით ჩვენი უმოქმედობის მართლება სიმხდალეა, მეტი რომ არა ვსთქვა.

სასამართლო

აზნაური ვასილ ნიკოლოზის ძის ერისთავის და ნესტორ ფილიას საქმე.

(დასასრული *)

ქრისტეშობისთვის 24 გამოცხადდნენ დანარჩენი სამი მოწმე, ხოლო მომჩივანი—ერისთავი არსადა სჩანდა ჩვეულებრივად, თუმცა სასამართლოს კარებთან-კი დადიოდა თურმე; ბოლოს გამოცხადდა ვექილი მომჩივნისა, ვიღაც ძოწენიძე.

საქმის გასაძნელებლად და კიდევ გასაჯდაბარებლად წინა დღეს მომჩივანს ვასილ ერისთავს ახალი მოწმეები დაუნიშნა: ქუთაისში მცხოვრების ვარდენ მეძმარიაშვილის დედა და და. სასამართლოში გამოირკვა, რომ კნეინა ცუცუ აგიაშვილისაც სიდედრი ყოფილა ამავე ვარდენ მეძმარიაშვილისა, დედა-კი, სოლომონაშვილი გამყრელიძის ქალი, (ბიძაშვილი მოწმე სოლომონ გამყრელიძისა), სოლომონ გამყრელიძე-კი სიმამრი მოწ. იაგორ ფხაკაძისა და თვით ვარდენ მეძმარიაშვილი, რომელიც საქმეში არა სჩანს, ადრინდელი ძმა კაცი, ან ნაძმაკაცარი ნესტორ ფილიასი. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, „შავი აზრდილი" მიაყენა ვარ. მეძმარიაშვილის ოჯახს...

ნაშუადღევის ოთხ საათზედ დაიწყეს საქმის გარჩევა, რადგან დანიშნული მოწმეები ვერ მოიყვანეს მანამდე. მოწმეების დარბაზიდგან გაყვანის შემდეგ, მოსამართლემ ჰკითხა მომჩივნის ვექილს ძოწენიძეს:

— კვლავ სდებთ ბრალს, თუ რას აცხადებთ საჩივარზედ?

მოწ. დიახ!

— მსაჯ. აბა, სთქვით, როგორ?

— ძოწ. ისე როგორც საჩივარშია დაწერილი.

— მსაჯ. რაც საჩივარში სწერია, ის მეც კარგად ვიცი, თქვენ ის უნდა სთქვათ, რა მდგომარეობასა და გარემოებაში იყო ხმალი მიცემული ან როგორი ხმალი იყო, რა ღირდა და სხვ.

— ძოწ. მაგის თქმა არ შემიძლია.

— მსაჯ. თქვენ არ შეგიძლიათ დრო ან ადგილი დაასახელოთ ხმლის მიცემისა?

— არა, არ შემიძლია.

— არც ის შეგიძლიათ სთქვათ, როგორი ხმალი იყო?

— ძოწ. არა.

— მსაჯ. მაშ რის ვექილი ხართ, რათ გამოცხადდით სასამართლოში?

— ძოწ. ისე... ის მინდა დავამტკიცო, რაც საჩივარში სწერია: რომ ფილიას ხმალი ათხოვა ჩემმა მარწმუნებელმა ვასილ ერისთავმა რომელიც ფილიამ მიითვისა.

— მსაჯ. როდის მოხდა ეგ?

— ძოწ. არ ვიცი...

— მსაჯ. მაშ ვერ გვეტყვით, სად, როდის და რა მდგომარეობაში იყო ხმალი გადაცემული?

— მოწ. ვერა.

— მსაჯ. მაშ, სრულიად არა იცით რა ხმლის შესახებ?

— ძოწ. არა, არაფერი არ ვიცი.

— მსაჯ. მაშ, რას იცავთ?

— რაც საჩივარში სწერია.

დარბაზში გაისმა საერთო სიცილი, რომელიც მოსამართლის ბრძანებით წამსვე შესწყდა.

შემდეგ გამოიხმეს მოწმეები, დააფიცეს და ჰკითხეს თვითოეულად.

კნეინა ცუცუ აგიაშვილისა:— მე ერისთავის ქალი ვარ და ძალიან კარგად ვიცნობ ვასილ ერისთავს, ვიცნობ ცოტათი ფილიასაც. ხმლის გადაცემასა და ნათხოვრობისა სრულიად არა ვიცი რა და არც არავისაგან გამიგონია ჩემს დღეში ამისთანა რამ...

თავ. ალექსანდრე თადეოზის ძე ნიჟარაძე: მე ხმლისა არა ვიცი რა, და არა თუ ხმლისა არა ვიცი რა, არც-კი ვიცნობ, ვინ არის ვასილ ერისთავი და ან ნესტორ ფილია, მე ისინი თავის დღეში არ მინახავს

— მსაჯ. მაშ, უმიზეზოდ როგორ დაგასახელა მოწმედ ერისთავმა? მოწ. ნიჟარაძე: მე მაგისი არა ვიცი რა, რად და რისთვის დამასახელა,

მოწ. სოლომონ გამყრელიძე: მე და ვასილ ერისთავი ერთი სოფლიდანა ვართ, ვიცნობ ვასილ ერისთავს დაბადებიდან. ფილიას არ ვიცნობ და არც მინახავს ჩემს სიცოცხლეში, ხმლის გადაცემ გადმოცემისა და ნათხოვრობისა არა ვიცი რა და არც არავისაგან რამე გამიგონია ამის შესახებ.

კესარია წერეთლისა (ვარდენ მეძმარიაშვილის და)—მე კარგად ვიცნობ ვასილ ერისთავს, ძლიერ ხშირად დადის ჩვენსა (ძმისას) ვიცნობ ნესტორ ფილიასაც, ჩვენს სახლში (ძმისას) ბევრჯელ ყოფილა წინეთ—სანამ გამდიდრდებოდა. ხმლისა არა ვიცი რა, არც არავისაგან გამიგონია არაფერი ამის შესახებ, გარდა თვით მომჩივანი ერისთავისა, დიდი ხანი არ არის, როგორდაც მითხრა ვასილ ერისთავმა, ხმალი გათხოვეთო და სხვა არაფერი.

მეძმარიაშვილის დედა (გამყრელიძის ასული) —მე ვასილ ერისთავს კარგად ვიცნობ და ხშირად დადის ჩვენსა, ვიცნობ ნესტორ ფილიასაც, წინეთ ჩემ შვილს ვარდენს მოჰყვებოდა ხოლმე ჩვენსა. ხმლისა არაფერი ვიცი რა და არც არავისაგან გამიგონია რა ამის შესახებ.

როგორც ნაფიც. ვექილს თავ. დიასამიძის წარდგენილ ქაღალდებიდგან სჩანს, ნესტორ ფილიას ჯვარის დაწერის დღიდგან სხვა-და-სხვა ბანკებში ჰქონია სახელ და ხელდ ანგარიშზედ შეტანილი ასი ათასი (100,000) მანეთი, აგრეთვე ხერსონის გუბერნიის დღევანდელი თავად-აზნაურთა მარშლის მოწმობა, რომ ფილიას მეუღლეს ყოველ წლიურად შემოსავალი სამოცდა ათი ათასი მანეთი აქვს.

სხვა საბუთთა შორის ვექილმა თ-დმა დიასამიძემ მოსამართლეს წარუდგინა მოწმობა, რომლიდგანაც სჩანს, რომ ფილია 1901 წლის დვინობისთვიდგან დღემდე ქალაქ ნიკოლაევში სცხოვრობს, მაშასადამე ამ ხნის განმავლობაში ქ. ქუთაისში ვერ იქნებოდა, და ამ ოთხის თვის წინად, როგორც საჩივარში სწერია, ხმალს ვერ ითხოვდა ერისთავისაგან.

თანახმად ვექილის დიასამიძის თხოვნისა, ცოტა ხნის შემდეგ გამოაცხადა მოსამართლემ განაჩენი, რომლითაც ნესტორ ფილია უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა. და ვასილ ერისთავის საჩივარი იცნო. „არა კეთილ სვინიდისიერ საჩივრად"

მეთვალყურე.

ბიბლიოგრაფია

Денежный отчетъ Совѣта съѣзда марганцепромышленниковъ Шорапанскаго уѣзда, Кутаисской губерніи за время съ 1-го іюля 1900—по 1-е іюля 1902 г.

ამ ანგარიშში საყურადღებო ცნობანი და ციფრებია მოყვანილი ჭიათურის შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს მოქმედებისა. როგორც ამ ანგარიშიდგან სჩანს, 1900 წლის ივლისისათვის საზოგადოების კასაში ყოფილა 8,682 მ. 48 კაპ. შემოსავალი საანგარიშო (1900—1902) დროს ყოფილა 530,856 მ. 47 კ., დახარჯული 537,507 მ. 21 კ. ამ რიგად კასაში 1902 წლის პირველ ივლისისათვის დარჩენილა 2,031 მ. 74 კ.

ანგარიშში მოყვანილია აგრეთვე, თუ რამდენი შემოვიდა და რამდენი დაიხარჯა იმ ფულიდგან, რომელიც გროვდება შავის ქვის გატანისათვის ნახევარ კაპიკის გადახდევინებით ფუთზე. ამ ფულისა 1900 წლის 1 ივლისისათვის დარჩენილა 144,909 მ. 30 კაპ. ამ თანხაში ჩაგდებულია ის ფული, რომელიც შემოვიდა 1900 წ. პირველ აპრილამდის. 1900 წლის პირველ აპრილიდგან ამავ წლის პირველ ივლისამდე შემოსულა 38,293 მ. 44 კაპ. ამავ წლის 1 ივლისიდგან 1901 წლის პირველ ივლისამდე შემოსულა 135,587 მ. 31 კ., 1901 წ. პირველ ივლისიდგან 1902 წ. 1 ივლისამდე შემოვიდა 77,820 მ. 12 კაპ. საბჭოს ამ ფულიდგან დაუხარჯავს 192,283 მ. 59 კ., ხაზინამ ამ ფულიდგან შავის ქვის მწარმოებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უკან დაიჭირა და გადასცა ა) სამთო დეპარტამენტს 22,304 მ. ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს 8,520 მ., გადაიდო მუშათათვის საპენსიო კასის დასაარსებლად 3,600 მ., დარჩა 1902 წლის 1 ივლისისათვის 169,902 მ. 58 კ., ქუთაისის სახაზინო პალატიდგან მისაღები აქვს საბჭოს 14,287 მ. 05 კ., ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში საბჭოს მისაღები აქვს 17,169 მ. 42 კ. ციფრები შემდეგ ამბობენ: ჭიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში საანგარიშო დროს განმავლობაში შეუტანიათ 57,172 მ. 66 კ., პროცენტები შესდგა 1902 წ. 1 ივლისამდე 490 მ. 74 კაპეიკი, უკან გაიტანეს 51,961 მ. 40 კაპ. დარჩა 1902 წელს პირველ ივ. ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში შეუტანია შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს ვადით $4\frac{1}{2}\%$-ით ფული 68,880 მ., უკან გამოუტანია 9.930 მ., დარჩენია კიდევ 1902 წლის პირველ იანვრისთვის 58,850 მ., ამ ფულის პროცენტებად მიუღია საბჭოს 1405 მ.

ჭიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში ვადით 3%-ით შეუტანია შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს 8,300 მ., და მისს პროცენტებად გამოუტანია 172 მ. 67 კ. 1902 წლის პირველ ივლისისათვის დარჩენილა 5,702 მ.

გზების შეკეთებაზედ დახარჯულა 5,413 მ. 48 კ., საანგარიშო წელს სტიპენდიებად დახარჯულა 2,800 მ. მუშათა დაზღევაზედ დახარჯულა 11,582 მ. 35 კ. ბიბლიოთეკისთვის საბჭოს უყიდნია 322 მ. 64 კ. წიგნები ჭიათურის საპოლიციო სამართველოს შესანახად საბჭოს დაუხარჯავს 3,376 მ. 47 კ. სასანიტარო საქმეზედ 4,769 მ. 49 კ., საბეითალო საქმეზედ 1,980 მ. სამკურნალო საქმეზედ 4,812 მ. 35 კ. ახალი გზების გაყვანაზედ 29,176 მ. 70 კ. სამეურნეო საქმისათვის საბჭოს მოუხმარებია 65,081 მ. 93 კ. შემწეობის აღმოსაჩენად და საჩუქართათვის დაუხარჯავს 13,665 მ.

ამ ცნობათა გარდა, მოყვანილია სხვა წვრილმან ხარჯებისა და შემოსავლების ანგარიში, მაგრამ, სამწუხაროდ, კრინტიც არ არის დაძრული იმაზე, თუ რამდენი აქვთ ჯამაგირები საბჭოს წევრთ და სხვა მოხელეთ.

წერილები

რედაქციის მიმართ.

I

ბ-ნო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი პ-ლი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ დეკ. დ. დამბაშიძეს, რომელმაც ჩემდა რწმუნებულს სკოლას შემოსწირა თავის მიერ გამოცემული წიგნები, ღირებული 3 მ. 50 კაპ.

წყალ-წმიდის ძმობის უფასო სკოლის მასწავლებელი იასონ ხომერიკი.

II

10 დეკემბერს მოხდა საზოგადო კრება ყვირილის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოში და „ამირჩიეს" მე სარევიზიო კომისიის წევრად. მაგრამ ჩემს არჩევას უკანონოდ ვსცნობ იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებას ჩემს არჩევაში მონაწილეობა არ მიუღია, თვითონ ბ-ნ კრების თავმჯდომარეს თურმე ავურჩევივარ. ასე თუ ისე, უარს ვყოფ სარევიზიო კომისიის წევრობას.

ალექსანდრა სპირიდონის ასული ჭუმბურიძე.
დ. ყვირილა.

„ივერიის" ფოსტა:

ტობანიერი. ლ. გ—ძეს. თქვენი საპასუხო წერილი არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

28 დეკემბერი

სარატოვი. დიდის ამბით უნდათ იდღესასწაულონ ჟურნალ-გაზეთობის იუბილეი.

ლონდონი. ის ხმა, რომელიც აქაურსა და საზღვარ-გარეთის ბირჟებზედ გაავრცელეს, ვითომც ჩემბერლენს მოკვლას უპირებენო, სრული სიცრუეა.

ლოძი. ფაბრიკის პატრონმა მრავსკიმ გამოაცხადა—გავკოტრდიო. პასსივი 150,000 მანეთია. აქაურმა ბანკებმა იზარალეს.

ბუდაპეშტი. პალატაში კომიტეტი სთხოვს სელლს, შემატყობინე შინაარსი ავსტრიასთან შეთანხმებისაო. საეჭვოა, რომ ავსტრიამ დაიცვას შეთანხმების პირობანიო. სელლი აცხადებს, რომ შეთანხმების შინაარსი მხოლოდ ხელის-მოწერის შემდეგ გამოცხადდებაო. გარწმუნებთ, რომ უნგრეთთან შეთანხმება კანონის ძალას მოიპოვებს, თუ ავსტრია მიიღებს შეთანხმებას საკანონმდებლო წესითაო.

ტანჟერი. ფეციდან მოსული კორესპონდენტი აცხადებს, რომ იქ სრული მშვიდობიანობა არისო.

მადრიდი. საგასტას სამშაბათს დაასაფლავებენ.

ლონდონი. ვაშინგტონში სცდილობენ მოელაპარაკონ იმათ წარმომადგენლებს, ვინც ვენესუელას საქმეში არიან ჩაბმულნი.

ვაშინგტონი. მთავრობის წარმომადგენელთა შორის ჰფიქრობენ, რომ ვენესუელას სადავო საქმის მოგვარება ჰააგის სამედიატორო სამართლის დაუხმარებლადაც შეიძლებაო. კასტრომ თავის კომისსარად ბოვენი დანიშნა.

სოფია. როგორც ისმის, ფინანსთა მინისტრის პარიჟში წასვლას დამოკიდებულება აქვს სახელმწიფო ვალების კონვერსიის პროექტის საქმესთანაო.

ბელგრადი. გაზეთები იუწყებიან მინისტრიდგან, რომ ბულგარიის ეპისკოპოსი დიბრე იძულებული იყო კიჩევოს გაქცეულიყო, რადგან ალბანელთა მეთაური შაქირბეი დაემუქრაო.

სკუტარი. ათასი ალბანელი შეიკრიბა და ალბანიაში რეფორმების შემოღებას თხოულობდა.

კიევი. აკურთხეს სახალხო სახლი კიევის სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტისაგან აგებული. სახლი 100,000 მანეთი დაჯდა.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ებოძა ორდენი ანდრია პირველ წოდებულისა უმაღლესის რესკრიპტით— 27 დეკემბერს ცარსკოე სელოში ალექსანდრეს სასახლეში ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის თანადასწრებით შობის ხე გააჩაღეს კანვოისა და გვარდიის ბატალიონთა ოფიცრებისა და ზოგიერთ სასახლის მოხელეთათვის. 4 საათსა და 25 წუთზე მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებით, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე და დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული შემოვიდნენ ზალაში. ხელმწიფე იმპერატორმა თავის ხელით დაარიგა საშობაო საჩუქრები. შემდეგ მათმა უდიდებულესობამ ოფიცრები ღირს ჰყო მოწყალე სიტყვებისა. დამწყრეთ ჩაი მიუტანეს.—გაიმართა შობის ხე ჯარის-კაცთა, გვარდიის ბატალიონისა, სასახლის პოლიციისა და ცარსკოე-სელოს საქალაქო პოლიციისათვის მათის უდიდებულესობის თანადასწრებით.

ვენა. ავსტრია-უნგრეთის საქველ-მოქმედო საზოგადოების მოსკოვის თავშესაფარის შენობის სასარგებლოდ, რომელიც ავსტრიის იმპერატორის მფარველობის ქვეშ იმყოფება, საფონოვის გამგეობით გაიმართა სიმფონიური კონცერტი რახმანოვის მონაწილეობით. რუსეთის კომპოზიტორთა ნაწარმოები, მათს რიცხვში ჩაიკოვსკისაც, მშვენივრად შეასრულეს.

28 დეკემბერი

სტამბოლი. მონასტირის გენერალნატორი ედიჰ-ფაშა კასსოვოში გადა
იმის ადგილას დანიშნეს ტრიპოლი
ხალიფ-ფაშა. უსკიუბის ვალი რუშდ
ნამდებობიდან დაითხოვეს.

ვაშინგტონი, ვენესუელის

---

*) იხ. „ივერია" №278.

ნელს ბოვენს დაევალა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს ჰააგის სამედიატორო სასამართლოში წარუდგენელად. თუ ეს ვერ მოხერხდა, ბოვენმა უნდა მოაგვაროს სადავო მუხლები და შეიმუშაოს პირობანი, რომელსაც მოჰყვება ჰააგის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.

ვენა. „ნოვე ფრ. პრესსე" სწერს ინგლისის იმ პროტესტის გამო, რომელიც დარდანელზედ გავლის შეეხება და ამბობს, რომ ავსტრო-უნგრეთისათვის სრუტეების საქმემ თავის მნიშვნელობა დაჰკარგა. ამაზე უფრო საყურადღებოა მაკედონიის მოძრაობისა გამო რუსეთთან ერთობის დაცვა. აღმოსავლეთის საქმეში ახალი ის არის, რომ ბალკანეთის სახელმწიფონი თვიანთ პოლიტიკას მაკედონიის საშიშ მოძრაობას უერთებენ. ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის საერთო მოქმედების საგანი ამ შეერთების უვნებელ ყოფაა.

კოპენჰაგენი. უარს ჰყოფენ იმ ხმას, ვითომ მეფის ქრისტიანის დაბადებიდან 85 წლის შესრულების გამო სამი იმპერატორი ერთმანეთს ჰნახავს.

პეტროკოვი. 28 დეკემბერს გაიხსნება ლოძში საჰიგიენო მომხმარებელი გამოფენა.

პეტერბურგი. 28 დეკემბერს მინისტრთა კომიტეტმა იდღესასწაულა ასის წლის იუბილეი ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე მემკვიდრისა, დიდთა მთავართა, კომიტეტისა და სახელმწიფო საბჭოს წევრთა და მინისტრთა თანადასწრებით. გადიხადეს პარაკლისი და წაიკითხეს უმაღლესი გრამოტა კომიტეტის სახელზე და ბრძანება ხელმწიფე მემკვიდრის კომიტეტის წევრად დანიშვნის შესახებ.

29 დეკემბერი.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის საქმეების გამგე სტატს სეკრეტარი კულომზონი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

მადრიდი. როდესაც მეფე ეკკლესიიდგან მოდიოდა, ვიღაც კაცმა რევოლვერი ესროლა მეფის ამალის მეორე ეტლს, რომელშიაც ჰერცოგი სოტომაიორი იმყოფებოდა. ტყვია არავის არ მოხვედრია. ბოროტ მომქმედი დააპატიმრეს. იგი ამბობს, რომ ჟოზე კოლადო ვარო.

კარაკასი. ვენესუელა დაჰპირდა საფრანგეთის რწმუნებულს, რომ საფრანგეთის მოთხოვნილებას ისევე დააკმაყოფილებს, როგორც გერმანიისა, იტალიელებისა და ინგლისისას.

დრეზდენი. ოფიციალური „დრეზდენის გაზეთი" უარსა ჰყოფს იმ ხმას, ვითომ მასწავლებელი ჟირონი იეზუიტებმა მიიწვიეს. უარსა ჰყოფს აგრეთვე იმას, რომ იეზუიტებმა სამხღვარ-გარეთიდგან და ნათესავებმა გავლენა იქონიეს საქსონიის პრინცის აღზრდაზე.

მადრიდი. მეფე, დედოფალი და ინფანტი ტერეზა პარაკლისის შემდეგ სახლში მიდიოდნენ „ბუენ სუკესოს" ეკკლესიიდგან. ამ დროს ფეიტომ რევოლვერი ესროლა კამერჰერის ეტლს, მაგრამ ტყვია არავის არ მოხვედრია. ფეიტომ განაცხადა, მინდოდა მომეკლა იბერ კამერჰერი, რომლის ჯავრი მჭირდაო.

კელნი. „კელ. ცეიტ." იუწყება, რომ კასტრო თავის პასუხში თანახმაა მიიღოს სახელმწიფოთა მოთხოვნილებანი. კასტროს თანხმობა მოწმობს, რომ ალყას შემორტყმამ უნაყოფოდ არ ჩაიარა.

დელი. კონაუტის ჰერცოგი და ჰერცოგინია პეშავერში წავიდნენ.

რომი. გადამსახლებელთა კომიტეტის დელეგატმა ბელჰარტმა პრინეტი დუელში გამოიწვია. მიზეზი სამსახურში შეუთანხმებლობაა. პრინეტი დასთანხმდა დუელს.

მადრიდი. ფეიტოს უნახს სხვა-და-სხვა ქაღალდები და წერილები რუზველტისა, ინგლისის მეფისა და გერმანიის იმპერატორის სახელზე. ფეიტომ განაცხადა, რომ ანარხისტი არ ვარო. ფეიტოს აუღელვებლად უჭირავს თავი. ეს გარემოება მოწმობს, რომ იგი სრულს ჭკუაზე არ არის.

მოსკოვი. დაიწყო კრება მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წარმომადგენლებისა.

მადრიდი. როგორც ოფიციალურად აცხადებენ, ფეიტოს ერთხელ გაუსროლია რევოლვერი; სერჟანტს ხმალი დაურტყამს თავში ბოროტ-განმზრახველისათვის. მეფეს ხალხი აღტაცებით მიეგება, პრეფექტმა დეპოში გაგზავნა ბოროტ-განმზრახველი, სადაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ფეიტო ჰოზადასი ოვიედოს პროვინციიდან 34 წლისაო.

ვენა. ტახტის მაძიებელი, რომელმაც დაიხია, ფეცისაკენ გაემართა.

[illegible]რიდი. ფეიტომ განაცხადა, რომ სოტო-[illegible] ადგილს დამპირდა სასახლეში, მაგრამ [illegible] არ აისრულა. ამიტომ განვიზრახე [illegible]ოო.

პეტერბურგი. გატჩინოში მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით გაიმართა შობის ხე კანვოისა, გვარდიის ბატალიონისა და სასახლის პოლიციისათვის.

30 დეკემბერი

პეტერბურგი. 29 დეკემბერს თანადასწრებით სამეცნიერო აკადემიის უავგუსტოესის პრეზიდენტისა, დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა, მოხდა სადარბაზო კრება აკადემიისა.—29 დეკემბერს იდღესასწაულეს ასის წლის თავი სამინისტროების დაარსებისა: საგარეო საქმეთა, ფინანსებისა და შინაურ საქმეთა. პარაკლისის შემდეგ შინაურ საქმეთა სამინისტროს ეკკლესიაში ყველა შეკრებილნი გაემართნენ საბჭოს დარბაზში. მინისტრი პლევე ჩავიდა სათავად-აზნაურო დეპარტამენტის შენობაში, სადაც შეკრებილიყვნენ სამინისტროს დაბალი მოხელენი. მინისტრმა მიულოცა იუბილეი და გამოუცხადა—მონარქმა მიიღო წყალობა და გადასდო საშუალება სამინისტროს ხელმოკლე მოხელეთა შვილების აღსაზრდელად, აგრეთვე დასაარსებლად საინვალიდო კასსისა ამავე სამინისტროს დაბალ მოხელეთათვის. საბჭოს დარბაზში დაბრუნებულმა მინისტრმა პლევემ მიმართა შეკრებილთ სიტყვით და განაცხადა, რომ ამ ჟამად უკვე ამზადებენ სამინისტროს საგუბერნიო დაწესებულებათა რეფორმას. განზრახულია განაძლიერონ აღმასრულებელი უფლება საგუბერნიო დაწესებულებათა ადგილობრივ; საჭიროა, რომ საგუბერნიო დაწესებულებათა მოქმედება მარტივი იყოს, რომ მკვიდრი არ დაიჩაგროს. ახლო მომავალში გაიმართება სამინისტროში ბჭობა თანადასწრებით ადგილობრივ მართვა-გამგეობის წარმომადგენელთა შესახებ იმისა, თუ როგორ მოეწყოს ხალხის გამოკვების საქმე. განხილულ იქნება აგრეთვე ზოგიერთი სხვა საქმენიც, რომელიც შეეხება ადგილობრივ სამეურნეო საჭიროებათა საბჭოში უნდა განიხილონ, მონარხის წინადადებით, ის ღონისძიებანი, რომლებიც დაახლოებს ადმინისტრაციისა და საზოგადოების მოქმედებას ერთმანეთთან, რომ ადგილობრივმა ადამიანმა მეტი მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ მართველობის საქმეებში. პირველ ყოვლისა, უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს, როგორც ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა კურსკში, გლეხის საქმეთა გაუმჯობესება და სოფლის ცხოვრების მოწესრიგება. მინისტრმა შემდეგის სიტყვებით დაასრულა თავისი სიტყვა: „იმეფოსცა მრავალ წელს რუსეთის სადიდებლად ყოვლად უმოწყალესმა ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძემ, რათა თვისის ნებისამებრ განაგოს ხელქვეითნი უმაღლესნი და უმდაბლესნი ადგილნი მმართველობისანი".—29 დეკემბერს გამოვიდა გაზეთი **„Знамя"**; რედაქტორ-გამომცემელი კრუშევანი.—**„Прикаспійская Торгово-Промышленная Газета"**-ს ნება მიეცა ჰბეჭდოს კერძო განცხადებები.

მადრიდი. ფეიტომ გაიმეორა თვისი ჩვენება, რომ მე განზრახვა არა მქონდა სამეფო სახლის წევრი მომეკლაო. იმ აგენტმა, რომელმაც შეიპყრო ფეიტო, სთქვა, რომ როცა გაიარა მეფის დახურულმა ეტლმა, ვიღაც გამოვარდა ხალხის ჯგუფიდან და ესროლა დამბაჩა მეორე ეტლსაო. მე დავარტყი ხმალი და მეორედ გასროლას ხელი შევუშალეო. ფეიტომ დაიყვირა: „მე უნდა მოვეკალით; ამიტომ მინდა მოვკლა სოტო მაიორი, მიზეზი ჩემის გაუბედურებისაო". გამოკითხვამ დაამტკიცა, რომ ფეიტო სულით ავადმყოფია და იმაზეა შეშლილი, ვითომ ყველა იმას სდევნის.—საქონლის სადგურზედ აღმოჩნდა დინამიტით სავსე ყუმბარა, გამოგზავნილი ყუთით ბარცელონიდან. ჰფიქრობენ, რომ ანარქისტებს უნდოდათ ეგ ყუმბარა საგასტას დასაფლავების დღეს აეფეთქებინათო.

ტანჟერო. როგორც ოფიციალურად იტყობინებიან ფეციდგან, მულლა-მაჰმადი დატუსაღებულია სულთანის ბრძანებითო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	75,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99½ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅛ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	410 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	205½ წვ. გაყ.

ციფრები ტელეგრაფისაგან შერყვნილია.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
ექიმებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბა[illegible]ნიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ცაწია დაბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი" მ. ჯანაშვილისა	„	40

АТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГО

на ежемѣсячный литературно-историческій журналъ

„Вѣстникъ Иностранной Литературы"

Вступая въ тринадцатый годъ своего изданія, „Вѣстникъ Иностранной Литературы" попрежнему будетъ неуклонно преслѣдовать поставленную при его основаніи главную задачу—давать общедоступное, разнообразное литературно-художественное чтеніе, знакомя въ хорошихъ переводахъ съ лучшими какъ новѣйшими, такъ и классическими произведеніями иностранныхъ изящныхъ литературъ. Въ мѣстѣ съ тѣмъ въ отдѣльныхъ статьяхъ и въ болѣе краткихъ очеркахъ и замѣткахъ, въ „Заграничной хроникѣ",—„ВѢСТНИКЪ", внимательно слѣдя за иностранною жизнью во всѣхъ ея характерныхъ проявленіяхъ, будетъ сообщать обо всемъ новомъ, выдающемся, интересномъ въ заграничной общественной жизни, наукѣ, литературѣ и искусствѣ.

Въ 1903 г. „Заграничная хроника" будетъ расширена постоянными отдѣлами „Россія заграницею" и „Смѣсь". Въ первомъ изъ этихъ отдѣловъ будутъ сообщаться свѣдѣнія, появляющіяся о Россіи въ иностранныхъ газетахъ и журналахъ; во второмъ найдутъ мѣсто мелкія извѣстія и замѣтки разнообразнаго содержанія.

Постепенно улучшаясь и увеличиваясь въ объемѣ, все болѣе расширяя свои рамки, давъ въ 1898 и 1899 годахъ читателямъ по 5000 страницъ убористаго шрифта, а въ 1901 и 190 гг.—до 6,000 страницъ, „Вѣстникъ" и въ наступающемъ тринадцатомъ году своего существованія будетъ попрежнему неуклонно преслѣдовать поставленныя при его основаніи задачи—безъ промедленія знакомить читателей со всѣми выдающимися новинками, принадлежащими перу талантливѣйшихъ представителей иностранныхъ литературъ.

При январской книгѣ „**ВѢСТНИКА**" будетъ разослано подписчикамъ:

БЕЗПЛАТНОЕ

ОТДѢЛЬНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ

„ЛЮБОВНЫЯ ПОХОЖДЕНІЯ КАВАЛЕРА ФОБЛАЗА",

полный переводъ извѣстнаго сочиненія **ЛУВЕ ДЕ-КУВРЭ**, съ біографическимъ очеркомъ и характеристикой даровитаго, изящнаго французскаго писателя конца XVIII столѣтія, его портретомъ и иллюстраціями на отдѣльныхъ листахъ (копіями съ гравюръ). Это приложеніе составитъ большой томъ около 600 страницъ убористаго шрифта. „Любовныя похожденія кавалера Фоблаза"—наиболѣе любопытный образчикъ легкой литературы конца XVIII вѣка. Фоблазъ, наряду съ Ловеласомъ Ричардсона и Керубиномъ Бомаршэ,—типичный представитель своего времени, очаровавшій своими приключеніями современное ему общество. Прелестный разсказчикъ Луве де-Куврэ въ своей занимательной книгѣ даетъ не только исторію многочисленныхъ похожденій легко увлекавшагося Фоблаза, но и картину нравовъ французскаго общества наканунѣ великой революціи. Въ свой романъ Луве де-Куврэ вложилъ то, что придаетъ вѣчную молодость литературному произведенію—отблескъ любящей души и нѣжнаго тонкаго ума. Легкомысленныя увлеченія своего героя Луве извиняетъ только потому, что къ нимъ иногда безсознательно, примѣшивалась любовь. Въ романѣ Луве немало чертъ автобіографическихъ: по мнѣнію французскихъ критиковъ, Фоблазъ—это 17 лѣтній Луве, граціозный, очаровательный, съ тонкой таліей, способствовавшей его переодѣваніямъ въ женскіе наряды, это—юноша съ бѣлокурыми волосами и синими глазами, сдѣлавшійся впослѣдствіи членомъ Конвента и не побоявшійся бросить Робеспьеру обвиненіе въ стремленіи къ диктатурѣ. Романъ Луве де-Куврэ отъ начала до конца читается съ одинаковымъ интересомъ.

Кромѣ того, въ «ВѢСТНИКѢ», съ особою нумераціею страницъ, съ январьской книжки будутъ печататься ВТОРОЕ и ТРЕТЬЕ БЕЗПЛАТНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ, а именно:

ИЛЛЮСТРИРОВАННАЯ

ИСТОРІЯ КАРРИКАТУРЫ

съ древнѣйшихъ временъ до нашихъ дней.

Эта книга будетъ составлена по лучшимъ иностраннымъ трудамъ, появившимся въ послѣдніе годы, и иллюстрирована множествомъ рисунковъ въ текстѣ. Исторія каррикатуры въ Россіи будетъ написана С. С. Трубачевымъ. Второе приложеніе составитъ большой томъ менѣе 30 печатн. листовъ, т. е. 480 стран. убористой печати.

„ВСЕМІРНОЕ ОСТРОУМІЕ",

сборникъ изреченій и мѣткихъ мыслей, высказанныхъ философами, учеными, писателями, государственными и вообще выдающимися людьми всѣхъ временъ и народовъ.

Въ первыхъ книжкахъ «ВѢСТНИКА» 1903 года появятся, между прочимъ: послѣдній романъ *Э. Зола* «Истина», мемуары бывшаго президента Трансваальской республики *Крюгера*, охотничьи разсказы президента Сѣверо-Американскихъ штатовъ *Теодора Рузевельта*, новая повѣсть *Джерома К. Джерома*, новые разсказы *Марселя Прево*, новый историческій романъ *Генриха Сенкевича*, новая повѣсть шведскаго писателя *Густава Гейерстама*, новый романъ итальянской писательницы *Неера*, новые историческіе разсказы *Стенли Уэймана* и цѣлый рядъ другихъ интересныхъ новинокъ талантливѣйшихъ заграничныхъ писателей.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1903 ГОДЪ ОСТАЕТСЯ ПРЕЖНЯЯ

без доставки и пересылки **4** РУБ. **50** КОП. ‖ съ доставкою и перссылкою **5** РУБ.

Желающіе получить ОТДѢЛЬНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ въ изящномъ коленкоровомъ золотомъ тисненомъ переплетѣ приплачиваютъ 75 к.

Отдыльныя крышки 50 к., съ пересылкою 70 к.

Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою за поручительствомъ гг. казначеевъ и лицъ, завѣдующихъ подпиской.

◆◆ Пoописка принимается: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, № 63, магазинъ ПАНТЕЛѢЕВА (прот. Пажескаго Корп.), въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоваться въ редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., д. № 16.

(6—1) За Редактора—издатель П. Ѳ. Пантелѣевъ.

Открыта подписка на 1903 годъ

на общественно-литертурную и политическую газету

„Б А К У"

съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ.

Съ пересылкой: на годъ **8** р. **50** к., **11** м. **7** р. **50** к., **10** м. **7** р., **9** **6** р. **50** к. **8** м. **6** р. **7** м. **5** р. **50** к., **5** м. **4** р. **50** к., **4** м. **4** **3** м. **3** р., **2** м. **2** р. **50** к., **1** м. **1** р. **50** к.

За границу: на годъ **15** р., на полгода **8** р.

Подписываться можно на всѣ сроки, но не иначе какъ съ перваго каждаго мѣсяца.

За перемѣну адреса просятъ высылать **5** семикапеечныхъ марокъ.

Допускается разсрочка подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе **4** р. **50** к., а затѣмъ **15** февраля и **15** марта по **2** рубля.

Допускаеття разсрочка и на болѣе льготныхъ условіяхъ, но по соглашенію съ конторой редакціи.

Годовые подписчики на **1903** годъ въ **1902** г. получаютъ газету безплатно со дня подписки.

Подписка принимается въ г. Баку, въ конторѣ редакціи (Парапетъ, домъ Степановой).

Редакторъ-издатель **А. Н. Лавровъ**

о цензурою. Тифлисъ, 30 декабря 1902 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.